ქართული ენა და ლიტერატურა

საგამოცდო პროგრამა IX კლასისათვის

მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

I. პრობლემურ ან სადავო საკითხებზე სხვადასხვა თვალსაზრისის შემცველი მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გააზრება-გაანალიზება და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, კერძოდ:

- გააანალიზოს სხვადასხვა მოცულობისა და სირთულის ტექსტში მოცემული ინფორმაცია და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები;
- მოახერხოს სხვადასხვა სახის ტექსტში წარმოდგენილი მოვლენების, ფაქტების, პერსონაჟთა თვისებების, ქცევის, თვალსაზრისების შედარება-შეპირისპირება;
- გაიაზროს ტექსტებში წამოჭრილი თემები და საკამათო საკითხები;
- გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება წაკითხულ ტექსტებში წარმოდგენილი განსხვავებული თვალსაზრისების მიმართ;
- შეაფასოს მხატვრულ ნაწარმოებში წარმოდგენილი კონფლიქტი/პრობლემა, ასევე ავტორის, მთხრობლის, პერსონაჟის ხედვა ეპოქის ისტორიულ და კულტურულ კონტექსტში;
- შეაფასოს არამხატვრულ ტექსტებში წარმოდგენილი არგუმენტები და გამოთქმული თვალსაზრისები;
- შეაფასოს ტექსტებში გადმოცემული თვალსაზრისები განსხვავებული (თავისი, ოპონენტის, ნეიტრალური) პოზიციიდან;
- დაუკავშიროს ტექსტში გადმოცემული ან ნაგულისხმევი თვალსაზრისები საკუთარ გამოცდილებასა და სხვა ლიტერატურულ ნაწარმოებებს.

II. სხვადასხვა სახის ტექსტების ანალიზისას ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ცოდნის გამოყენება, კერძოდ:

- შეაფასოს მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ეფექტიანობა ტექსტში;
- ამოიცნოს ავტორის მეტყველების თავისებურება, მიზნობრივად გამოყენებული სპეციფიკური ლექსიკა და იმსჯელოს მათს დანიშნულებაზე.

პროგრამის შინაარსი

ქართული ენა:

სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა. სინონიმები, ომონიმები, ანტონიმები, პარონიმები, დიალექტიზმები, არქაიზმები, ნეოლოგიზმები, ნასესხები სიტყვები, ბარბარიზმები; სიტყვათა მყარი შეხამებანი; წარმოქმნილი და ძირეული სიტყვები, მარტივი და რთული სიტყვები.

მეტყველების ნაწილები: არსებითი სახელი, ჯგუფები შინაარსის მიხედვით, საზოგადო და საკუთარ სახელთა ბრუნება; ზედსართავი სახელი, ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები, ზედსართავ სახელთა ბრუნება დამოუკიდებლად და არსებით სახელთან ერთად; არსებითი სახელი მსაზღვრელად; რიცხვითი სახელი, რიცხვითი სახელების ჯგუფები, რიცხვითი სახელების ბრუნება; ნაცვალსახელი, ნაცვალსახელთა ჯგუფები, ნაცვალსახელთა ბრუნება; ზმნა, ზმნის პირი

და რიცხვი, ზმნისწინი, დრო, ასპექტი, კილო, გარდამავლობა, გვარი, ქცევა, კონტაქტი; სახელზმნა; ზმნიზედა; თანდებული; კავშირი; ნაწილაკი; შორისდებული.

წინადადება; სინტაქსური წყვილები, სინტაქსური ურთიერთობის სახეები; წინადადების სახეები შინაარსის მიხედვით; წინადადების წევრები; ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობა რიცხვის მიხედვით; წინადადების სახეები აგებულების მიხედვით; მარტივი წინადადების სახეები; შერწყმული წინადადება, ერთგვარ წევრთა შეერთება; განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები; რთული წინადადება, რთული თანწყობილი წინადადება, რთული ქვეწყობილი წინადადება; პირდაპირი და ირიბი ნათქვამი; სასვენ ნიშანთა ხმარების წესები.

ქართული ლიტერატურა:

მოსწავლე უნდა იცნობდეს მხატვრული ტექსტის ანალიზისათვის აუცილებელ ლიტერატურათმცოდნეობით ტერმინებს:

დრამა, ეპოსი, ლირიკა; პოეზია, პროზა; ანდაზა, აფორიზმი, ბიოგრაფია, ელეგია, თქმულება, იგავ-არაკი, კომედია, ლეგენდა, ლექსი, მემუარი, მითი, მოთხრობა, მუხამბაზი, ნოველა, პოემა, პუბლიცისტიკა, რომანი, სონეტი, ტრაგედია; ტრიოლეტი, შაირი;

აბზაცი, ეპიგრაფი, ეპილოგი, თემა, იდეა, კომპოზიცია, პროლოგი, რითმა, რიტმი, სიუჟეტი, სტროფი, ტაეპი, ფაბულა, ფინალი; დიალოგი, მონოლოგი, პერიფრაზი, ციტატა;

პეიზაჟი, პერსონაჟი, პორტრეტი; ალეგორია, გაპიროვნება, ეპითეტი, ირონია, იუმორი, მეტაფორა, მოტივი, სარკაზმი, სატირა, ტროპი, შედარება, ხატოვანი თქმა, ჰიპერბოლა; მხატვრული ენა, მხატვრული სახე.

ტექსტები:

1. **ლეონტი მროველი** – „ცხორებაი და მოქალაქეობაი ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარის ნინოსი“ (მოქცევა მირიან მეფისა);
2. **შოთა რუსთაველი** – „ვეფხისტყაოსანი“ (ანდერძი ავთანდილისა);
3. **დავით გურამიშვილი** – „დავითიანი“ („დავით გურამიშვილის ლეკთაგან დატყოება“, „სიზმარი დავით გურამიშვილისა ტყვეობასა შინა“, „ტყვეობითგან გაპარვა დავითისა“);
4. **ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი)** – „ტანო ტატანო“;
5. **ნიკოლოზ ბარათაშვილი** – „საყურე“, „ბედი ქართლისა“;
6. **ილია ჭავჭავაძე** – „სარჩობელაზედ“;
7. **ვაჟა-ფშაველა** – „კაი ყმა“;
8. **ნიკო ლორთქიფანიძე** – „საშობაო მინიატურები“ („სარეცელზე“, „საქართველო იყიდება“, „ბრმა თერძი“), „ლიტერატურული საღამო“;
9. **პაოლო იაშვილი** – „დარიანული“;
10. **ვალერიან გაფრინდაშვილი** – „სანტიმენტალური ტრიოლეტი“;
11. **ანა კალანდაძე** – „მოდიოდა ნინო მთებით“, „ფეხი დამადგით...“.